ლილე სილაგაძე

კავკასიის სამართლის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები

,,ჩემი დაუვიწყარი მოგზაურობა 2024 წლის შემოდგომაზე დაიწყო ნიდერლანდებში, სადაც საკუთარ თავს ახალი თვალით შევხედე და უკეთ გავიცანი.

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართალს ვსწავლობდი Erasmus+ სტიპენდიის ფარგლებში. ეს იყო არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილება – მეგობრული გარემო, ინტერაქციული და ინოვაციური სასწავლო მეთოდები, სტუდენტებზე მორგებული ინდივიდუალური მიდგომები. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი სამართლებრივი ხედვა, განსაკუთრებული გამოცდილება იყო საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტუმრობა, სადაც პირდაპირი შეხება მქონდა გლობალურ იურიდიულ სისტემასთან.

თუმცა, ჩემს გამოცდილებას მხოლოდ გაცვლით პროგრამას ვერ ვუწოდებ. ეს იყო შესაძლებლობა მესწავლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სტუდენტებთან ერთად, შევხვედროდი ინჰოლანდის უნივერსიტეტის გამორჩეულ პროფესორებს და გამემართა დისკუსიები არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე, არამედ მსოფლიო მოვლენებზე ფართო კონტექსტში.

დაუვიწყარია ნიდერლანდებში გატარებული თითოეული წამი – მოგზაურობა მეზობელ ქვეყნებში, ახალი მეგობრები, კულტურული მრავალფეროვნებით სავსე ყოველდღიურობა და გამოწვევები, რომლებმაც პიროვნულად და პროფესიულად კიდევ უფრო განმავითარა.
ცხოვრებაში სირთულეები ყოველთვის შეგვხვდება, მაგრამ მათი დაძლევა გვაძლევს შესაძლებლობას, რეალობად ვაქციოთ ჩვენი მიზნები. სწორედ ამ საერთაშორისო შესაძლებლობამ მასწავლა, როგორ მოვერგო ახალ გარემოს, დავძლიო გამოწვევები და დავიჯერო, რომ შეუძლებელი არაფერია. Trust the journey and never be ashamed of trying.

მადლობა კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლას ამ შესაძლებლობისთვის.''